“დინამო” (თბილისი) – “ლოკომოტივი” (მოსკოვი)

გუშინ, 20 აგვისტოს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის საარის სასტვენისთანავე თბილისელთა კართან კრიტიკული მომენტი შეიქმნა, მაგრამ დაცვის ენერგიული თამაშის გამო პირველ შეტევებს შედეგი არ მოყოლია. მალე მოედნის ცენტრს დაეუფლნენ თბილისელები. უკვე მე–8 წუთზე მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე კარგად შეიჭრა ღოღობერიძე და ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში. მეკარე კუბრიცკიმ სხარტი ნახტომით შეძლო ძნელი ბურთის აღება. 23–ე წუთზე მოსკოველთა ერთ–ერთი იერიშის დროს ბურთი გატანილ იქნა თბილისელთა კარში. გვერდითმა მსაჯმა დროულად აღნიშნა მოსკოველთა თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ მსაჯმა საარმა თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა.

ამ მარცხმა თბილისელები არ დააბნია. მათ რამდენიმე მწვავე შეტევა განავითარეს მოწინააღმდეგის კართან. 33–ე წუთზე ლოკომოტიველები თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად მოექცნენ ღოღობერიძეს, დაინიშნა 11–მეტრიანი საჯარიმო. ღოღობერიძემ ვერ შეძლო ანგარიშის გათანაბრების ამ ნაღდი შესაძლებლობის გამოყენება.

შეხვედრის მეორე ნახევარი გარდამავალი უპირატესობით ჩატარდა და ანგარიში არ შეცვლილა. მატჩი მოიგო მოსკოვის “ლოკომოტივმა” – 1:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა – 3:2.

“ლელო”, 21 აგვისტო, 1955 წ.